



საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
ოქმი № 4, 4 მაისი 2020_წელი

სამსახურის უფროსი

/ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯოჯუა/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №14, 14 მაისი 2020 წელი

ფაკულტეტის დეკანი

/პროფ. დოქტ. თეა კბილცეცხლაშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 09, 22 მაისი, 2020 წელი

რექტორი

/საფფეთ ბაირაქეთუთან/

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მენეჯმენტი

თბილისი
2020 წელი



საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მენეჯმენტი / Management

ფაკულტეტი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: აფილირებული ასოცირებული პროფესორი მაკა ბულუაშვილი

მობილური: +995 558 40 72 50, ელ. ფოსტა: bughulashvili@ibs.edu.ge

უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო – დონე 7

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013): 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება / Management and Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში / Master of Business Administration in Management

კვალიფიკაციის კოდი: 0413

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა:

უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების გრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობა არის 120 კრედიტი. აქედან:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები – 78 კრედიტი (აქედან ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები – 40, მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები – 38 კრედიტი)
- კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) – 30 კრედიტი
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის არჩევითი სასწავლო კურსები – 12 კრედიტი
-

პროგრამა მოიცავს 2 სასწავლო წელს (4 სემესტრი), სასწავლო წელი იყოფა 2 სემესტრად. სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომელიც პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს მენეჯმენტის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემას და ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ორიენტირებულია პრობლემისა და მისი კონტექსტის შესწავლაზე კვლევის მეთოდების გამოყენებით და მისი ეფექტური გადაჭრისთვის შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, კერძოდ CEFR, TOEFL iBT, IELTS, YDS, Cambridge.

გამოცდები ინგლისურსა და პროფესიულში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის (1) თეორიებისა და მოდელების ღრმა და სისტემური ცოდნა, (2) ანალიტიკური, შემოქმედებითი, ლიდერობის, სამეცნიერო და კვლევითი უნარები, იქნებიან ინოვაციებსა და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებაზე ორიენტირებული და (3) ორგანიზაციის მართვის კონტექსტში კომპლექსური, არაპროგნოზირებად გარემოში გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფილი, რაც საშუალებას მისცემს დასაქმდნენ საშუალო და მაღალი რგოლის მმართველობით პოზიციებზე და ასევე გააგრძელონ უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლა.

ცოდნა და გაცნობიერება	
PLO -1.1	<ul style="list-style-type: none"> □ სიღრმისეულად ხსნის განუსაზღვრელ ბიზნესის გარემოში ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისა და ბიზნეს შესაძლებლობების შესაფასებლად კომპანიის სტრატეგიული დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის მექანიზმის, ადამიანური რესურსების, წარმოების პროცესის მართვის, სტრატეგიული მარკეტინგის, ფინანსების თეორიებს, მოდელებს და ინსტრუმენტებს;
PLO – 1.2	<ul style="list-style-type: none"> ☒ ახდენს ბიზნესის ყველა ფუნქციონალურ სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებას და პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისათვის სიღრმისეულად აღწერს კვლევის მეთოდებსა და მონაცემთა დამუშავების სტატისტიკურ მოდელებს.
უნარები	
PLO – 2.1	<ul style="list-style-type: none"> □ კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვის ცალკეული რგოლის სტრატეგიული ანალიზის საფუძველზე ახდენს კომპანიის ფუნქციონალური სფეროების და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების იდენტიფიცირებას (შესყიდვები, წარმოება, ლოგისტიკა, მარკეტინგი, ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა); ბაზარზე სტრატეგიული ბიზნეს ერთეულების პოზიციის შეფასებას და მათი განვითარების მიზნით ამზადებს სტრატეგიულ გეგმას.
PLO – 2.2	<ul style="list-style-type: none"> □ ბაზარზე არსებული მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე, ამზადებს წინადადებებს კომპანიის ოპერაციათა მართვისა და საწარმო სიმძლავრეთა სტრატეგიული განვითარების მიზნით, საწარმო სიმძლავრეების გამოშვების საფუძველზე შემუშავებს ალტერნატიულ ვარიანტებს, ახდენს ბიზნეს პროცესების ინტეგრირებას და კოორდინაციას, ამზადებს პროექტებს, აფასებს ცალკეული პროექტისათვის

საგანმანათლებლო პროგრამა

	რისკებს, გეგმავს ბიუჯეტს, შეიმუშავებს პროექციის და მომსახურების ხარისხის და პერსონალის მწარმოებლურობის კონტროლის მექანიზმს;
PLO – 2.3	<input type="checkbox"/> აყალიბებს ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარების ხედვას და კომპანიის დასახული მიზნების მისაღწევად გეგმავს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიას, აფასებს სამუშაო ძალის მწარმოებლურობას, ამზადებს შრომის ანამლაურებისა და კომპენსაციის გეგმას, ნერგავს გუნდური მუშაობის პრინციპების, დასაქმებულთა მოტივაციისა და ორგანიზაციის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის კონფლიქტური სიტუაციების მართვის ეფექტიან მექანიზმს და ასაბუთებს პროფესიული სტანდარტების მნიშვნელობას ორგანიზაციაში დაინტერესებული მხარეების გრძელვადიანი ღირებულების გაზრდის მიზნით.
PLO – 2.4	<input type="checkbox"/> ეფექტიანი აღრიცხვისა და ბიუჯეტირების სისტემის შეიმუშავებით ქმნის ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების და ინტერესთა კონფლიქტის კონტროლის მოქნილ მექანიზმს.
PLO – 2.5	<input type="checkbox"/> მარკეტინგული აუდიტის განხორციელებით და სტრატეგიული ანალიზის ძირითადი ასპექტების საშუალებით გეგმავს ფასეულობათა შექმნის პროცესს. აანალიზებს მომხმარებელზე მოქმედ ფაქტორებს და კონკურენტების ქმედებებს; სეგმენტების მიმზიდველობის შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ახდენს მიზნობრივი სეგმენტის იდენტიფიცირებას და ამზადებს პოზიციონირების სტრატეგიას და გეგმავს მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებს.
PLO – 2.6	<input checked="" type="checkbox"/> ახდენს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის პროცესებისა და მეთოდების ინტეგრირებას მენეჯმენტის სფეროში პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზის, რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და კომპლექსური მენეჯერული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით; ახდენს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარის დემონსტრირებას ბიზნესის ყველა ფუნქციონალურ სფეროში, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ კონტექსტში ინფორმაციის დამუშავების და ინოვაციური სინთეზის, პროექტების და კონკრეტული შემთხვევების შესწავლის გზით.
პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა	
PLO – 3.1	<ul style="list-style-type: none"> ახდენს კომპლექსურ და მულტიდისციპლინარულ სასწავლო გარემოში მენეჯმენტის თანამედროვე ასპექტების მოდიფიცირებას და წინადადებების მომზადებას, იღებს პროფესიული ცოდნის მართვაზე პასუხიმგებლობას, ახდენს საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის ორგანიზებას.

საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის მიზნები	PLO -1.1	PLO -1.2	PLO - 2.1	PLO - 2.2	PLO - 2.3	PLO - 2.4	PLO - 2.5	PLO - 2.6	PLO - 3.1
შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის აღმინისგრილებისა და მენეჯმენტის თეორიებისა და მოდელების დრმა და სისტემური ცოდნა,	✓	✓							
ანალიტიკური, შემოქმედებითი, ლიდერობის, სამეცნიერო და კვლევითი უნარები, იქნებიან ინოვაციებსა და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებაზე ორიენტირებული								✓	✓
ორგანიზაციის მართვის კონტექსტში კომპლექსური, არაპროგნოზირებად გარემოში გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფილი, რაც საშუალებას მისცემს			✓	✓	✓	✓	✓		



საგანმანათლებლო პროგრამა

დასაქმდნენ საშუალო და მაღალი რგოლის მმართველობით პოზიციებზე და ასევე გააგრძელონ უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლა.									
---	--	--	--	--	--	--	--	--	--

სწავლის შედეგების რუკა:

სწავლის შედეგი ;;

#	სასწავლო კურსი / კვლევითი კომპონენტი / ფასდება სამი ზრდადი რუბრიკით: I = Introduced (გაცნობა) D = Deepen (გაღრმავება) M = Mastered (განმტკიცება)	შეფასების მეთოდები	ცოდნა და გაცნობიერება		უნარი						პასუხი მკვლევარობა და ავტონომიურობა	
			სწავლის შედეგი 1.1	სწავლის შედეგი 1.2	სწავლის შედეგი 2.1	სწავლის შედეგი 2.2	სწავლის შედეგი 2.3	სწავლის შედეგი 2.4	სწავლის შედეგი 2.5	სწავლის შედეგი 2.6	სწავლის შედეგი 3.1	
1	პროფესიული წერა	<ul style="list-style-type: none"> პროექტის მომზადება საშინაო დავალება შუალედური გამოცდა პრეზენტაცია დასკვნითი გამოცდა 									I	I

საგანმანათლებლო პროგრამა

2	მენეჯერული ეკონომიკა	<ul style="list-style-type: none"> პრაქტიკული დავალება ესე ზეპირი პრეზენტაცია ტესტი ინდივიდუალური პრეზენტაცია სამშინაო დავალება 	I		I	I		I	I		
3	რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესთვის	<ul style="list-style-type: none"> ზეპირი პრეზენტაცია შემთხვევის ანალიზი წერილობითი ქეიზი ტესტი ღია გიპის კითხვა-ამოცანა 		I/D						D	
4	სტრატეგიული მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> საკურსო პროექტი ღია გიპის კითხვა პრაქტიკული დავალება სიტუაციური ანალიზი დისკუსია 	I/D		D				D		
5	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	<ul style="list-style-type: none"> შემთხვევის ანალიზი ზეპირი გამოკითხვა / დისკუსია ტესტი ღია გიპის კითხვა 	I/D						D		
6	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	<ul style="list-style-type: none"> ქეისი სამშინაო დავალება პრაქტიკული დავალება (კვლევის ანგარიში/სამუშაო აღწერილობის ანგარიში) ესე გიპის კითხვა დისკუსია 	I/D		D		I/D				
7	ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მართვა	<ul style="list-style-type: none"> პროექტი წერილობითი ქეიზები ქეისის ანალიზი ტესტი 	D		D	D					



საგანმანათლებლო პროგრამა

		<ul style="list-style-type: none"> • ღია გიპის კითხვა-ამოცანა 									
8	მენეჯერული აღრიცხვა და კონტროლი	<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკული დავალება (ამოცანების ამოხსნა, ინტერპრეტაცია) • ქეისი • ზეპირი პრეზენტაცია • ტესტი 	D		D			D			
9	პროექტების მართვის გაძლიერებული კურსი	<ul style="list-style-type: none"> • პროექტი • ტესტი 				D				D	
10	ლიდერობის სტრატეგიები	<ul style="list-style-type: none"> • ქეისი • ჯგუფური სამუშაო • პრეზენტაცია • ქვიზი • სემინარი (ზეპირი გამოკითხვა) 					D				
11	ბიზნესის კვლევის მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის პროექტი • ზეპირი გამოკითხვა • სამინაო დავალება • ღია გიპის კითხვა 		D						D	D
12	სამაგისტრო ნაშრომი	<ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო ნაშრომის დაცვა 	M	M	M	M	M	M	M	M	M

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ლექცია - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა ღროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის

საგანმანათლებლო პროგრამა

ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა ამრის გათვალისწინება/გამიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური ამროვნების განვითარებას.

სემინარი - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა გარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

დამოუკიდებელი მუშაობა - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი ამროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

პრეზენტაცია (ლექტორის მიერ) - იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიგყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

დემონსტრირება - დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გაცხადოთ სასწავლო მასალის აღქმის

საგანმანათლებლო პროგრამა

სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინოს საკითხის/პრობლემის არსს.

ინლუქცია - ინლუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილშიც შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულსკენ.

ანალიზი - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

შემთხვევების შესწავლა (case study) - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

გონებრივი იერიში (brain storming) - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

საგანმანათლებლო პროგრამა

დისკუსია / დებატები - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

სიმულაცია, როლური და სიგუაციური თამაშები - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიგუაციებს (სიგუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

პროექტი - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ) - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

ელექტრონული საშუალებებით სწავლა/სწავლება - გულისხმობს სწავლებას და სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედია საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედია სპეციფიკური საშუალებებით.

ამოცანების ამოხსნა - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამა

პრობლემების გადაჭრა - აქტიუობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდივიდუალური მუშაობა - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პროცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

წიგნზე მუშაობა - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშაებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დანებებით შეფასებას

- 1) (A) ფრიალი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევის კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება:

ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:



საგანმანათლებლო პროგრამა

კრიტერიუმი	მაქსიმალური შესაძლებელი შეფასება
აქტუალობა	10 ქულა
კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10 ქულა
მისი თეორიული მნიშვნელობა	10 ქულა
სიახლე	10 ქულა
საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15 ქულა
კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)	5 ქულა
დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.)	15 ქულა
დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, გერმინოლოგიის ფლობა	15 ქულა
დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10 ქულა
სულ	100 ქულა

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების ორგანიზების თავისებურებები: პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 აკადემიური წლის, 4 სემესტრის განმავლობაში, თითოეულ სემესტრში 30 კრედიტის ოდენობით (სემესტრულად 27 კრედიტიდან 33 კრედიტის ოდენობით ვარიირებს). პრაქტიკა სავალდებულო არჩევითი კომპონენტია იმ სტუდენტებისთვის, ვინც საერთოდ არ მუშაობს, ან არ მუშაობს მენეჯმენტის სფეროში. თუ სტუდენტი არის დასაქმებული კომპანიაში მენეჯმენტის მიმართულებით მაშინ პრაქტიკის მაგივრად მას შეუძლია სურვილისამებრ აირჩიოს სხვა არჩევითი საგნები. დამასრულებელ სემესტრში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა.

ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის სპეციალობის არჩევითი კომპონენტით გათვალისწინებული კურსებიდან სტუდენტს შეუძლია აითვისოს 12 კრედიტი.

დასაქმების სფერო:

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (გრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო ფირმებში, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში, ფონდებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ბიზნესის მართვის ყველა რგოლში და დაიკავოს მაღალი დონის მენეჯერული პოზიციები.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ მენეჯმენტის, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- ✓ პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები;

საგანმანათლებლო პროგრამა

- ✓ უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- ✓ საკონფერენციო და სასემინარო დარბაზები;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ✓ უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი მასალები;
- ✓ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი;
- ✓ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში; აგრეთვე ელექტრონული ბიბლიოთეკის საშუალებით; შსსუ არის შემდეგი ელექტრონული ბაზების ავტორიზებული მომხმარებელი:
 - ✓ ELSEVIER International Scientific System: <https://www.elsevier.com/solutions/scopus> ; <https://www.sciencedirect.com/>; <https://www.fundinginstitutional.com>
 - ✓ <http://search.epnet.com>
 - ✓ www.oxfordjournals.org
 - ✓ www.journals.cambridge.org
 - ✓ <https://www.jstor.org/>
 - ✓ <http://polpred.com/>
 - ✓ <https://clarivate.com/>
 - ✓ www.opendoar.org
 - ✓ www.roar.eprints.org
 - ✓ www.doaj.org
 - ✓ www.beallslst.weebly.com
 - ✓ www.gutenberg.org



საგანმანათლებლო პროგრამა

- ✓ www.memory.loc.gov
- ✓ www.wdl.org
- ✓ www.obiblio.sourceforge.net

გარდა ამისა უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა კლასგარეშე აქტივობებისათვის (სპორტი, შემოქმედება, სოციალური აქტივობა);

სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კურსი / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების განაწილება სასწავლო	საათების განაწილება			საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში
				I ს.წ.	II ს.წ.	საკონტაქტო	



საგანმანათლებლო პროგრამა

2	მენეჯერული ეკონომიკა	სავალდებულო	8	8				2 5	17	2	2	46	154	200	3
3	სტრატეგიული მენეჯმენტი	სავალდებულო	8	8				2 5	18	2	2	47	153	200	3
4	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	სავალდებულო	5	5				3 1	14	2	2	49	76	125	3
5	ფინანსური მენეჯმენტი	სავალდებულო	8	8				2 9	15	2	3	49	151	200	3
6	რადენობრივი ანალიზი ბიზნესისათვის	სავალდებულო	8		8			1 8	42	2	3	65	135	200	4
7	მენეჯერული აღიქვა და კონტროლი	სავალდებულო	6		6			1 6	29	2	2	49	101	150	3
8	პროექტების მართვის გაძლიერებული კურსი	სავალდებულო	6		6			2 3	18	2	2	45	105	150	3
9	ლიდერობის სტრატეგიები	სავალდებულო	5			5		3 2	14	2	2	50	75	125	3
10	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	სავალდებულო	6			6		3 0	13	2	2	47	103	150	3
11	ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მართვა	სავალდებულო	7			7		2 8	14	2	3	47	128	175	3
12	ბიზნესის კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5			5		2 7	19	2	2	50	75	125	3
	კვლევითი კომპონენტი		30												
13	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30					3 0				32	718	750	
	ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის არჩევითი სასწავლო კურსები		12												
1	ხარისხის სრული მართვა	არჩევითი	6		6			1 5	15	2	2	34	116	150	2

საკანონმდებლო პროგრამა

2	ბრენდინგის მეთოდები და ანალიზი	არჩევითი	5			5		2 9	13	2	2	46	79	125	3
3	ბიზნეს სიმულაციები და ანალიზი	არჩევითი	6			6		1 2	16	2	2	32	118	150	2
4	კონკურენცია და მარკეტინგული სამართალი	არჩევითი	5		5			1 5	15	2	2	34	91	125	2
5	პრაქტიკა*	არჩევითი	10			1 0						145	105	250	
6	პორტფელის ანალიზი და აქტივების შეფასება	არჩევითი	8		8			2 9	13	2	2	46	154	200	3
7	კორპორაციული მართვა	არჩევითი	6		6			2 1	7	2	2	32	118	150	2
8	ციფრული მარკეტინგი	არჩევითი	5			5		2 7	15	2	2	46	79	125	3
9	სტრატეგიული მარკეტინგი ქეისები და ანალიზი	არჩევითი	6			6		3 0	15	2	2	49	101	150	3
10	გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემები	არჩევითი	5		5			2 7	16	2	2	47	78	125	3
სულ		120 ECTS კრედიტი													

შენიშვნა *:

1. თუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი არ მუშაობს მენეჯმენტის სფეროში, მაშინ ის სავალდებულო წესით ირჩევს პრაქტიკას (10 კრედიტი), ხოლო თუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი დასაქმებულია მენეჯმენტის მიმართულებით, მაშინ მას შეუძლია აირჩიოს 2 არჩევითი სასწავლო დისციპლინა (5 კრედიტით ან 6 კრედიტით).

წინაპირობების ცხრილი

საკანმანათლებლო პროგრამა

#	კურსის დასახელება	კრედიტი	წინაპირობა	სემესტრი (რომელშიც ხორციელდება კურსი)
საკვალდებულო კურსები				
1	პროფესიული წერა	6	წინაპირობის გარეშე	I
2	მენეჯერული ეკონომიკა	8	წინაპირობის გარეშე	I
3	სტრატეგიული მენეჯმენტი	8	წინაპირობის გარეშე	I
4	ფინანსური მენეჯმენტი	8	წინაპირობის გარეშე	I
5	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	5	წინაპირობის გარეშე	I
6	რაოლენობრივი ანალიზი ბიზნესისთვის	8	წინაპირობის გარეშე	II
7	მენეჯერული აღიქვა და კონტროლი	6	წინაპირობის გარეშე	II
8	პროექტების მართვის გაბლიერებული კურსი	6	წინაპირობის გარეშე	II
9	აღამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	6	წინაპირობის გარეშე	III
10	ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მართვა	7	სტრატეგიული მენეჯმენტი	III
11	ლიდერობის სტრატეგიები	5	სტრატეგიული მენეჯმენტი	III
12	ბიზნესის კვლევის მეთოდები	5	რაოლენობრივი ანალიზი ბიზნესისთვის	III
13	სამაგისტრო ნაშრომი	30	სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკვალდებულო კურსი	IV
არჩევითი კურსები				
1	ხარისხის სრული მართვა	6	წინაპირობის გარეშე	II
2	სტრატეგიული მარკეტინგი ქეისები და ანალიზი	6	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	III

საგანმანათლებლო პროგრამა

3	ბრენდინგის მეთოდები და ანალიზი	5	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	III
4	ბიზნეს სიმულაციები და ანალიზი	6	სტრატეგიული მენეჯმენტი	III
5	კონკურენცია და მარკეტინგული სამართალი	5	წინაპირობის გარეშე	II
6	პრაქტიკა	10	წინა სემესტრებში გავლილი ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	III
7	პორტფელის ანალიზი და აქტივების შეფასება	8	ფინანსური მენეჯმენტი	III
8	კორპორაციული მართვა	6	სტრატეგიული მენეჯმენტი	II
9	ციფრული მარკეტინგი	5	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	III
10	გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემები	5	წინაპირობის გარეშე	II

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

№	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კოდი	სემესტრი	წინაპირობა	ლექტორი
1	პროფესიული წერა	BUS1020	I სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული პროფესორი დოქტორი ნიკოლოზ ფარჯანაძე
2	მენეჯერული ეკონომიკა	FIN1013	I სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული პროფესორი დოქტორი გაგიანა პაპიაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამა

3	ფინანსური მენეჯმენტი	BUS1009	I სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული პროფესორი დოქტორი თეა კბილცეცხლაშვილი
4	რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესისთვის	FIN1016	II სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	დოქტორი ავთანდილ გაგნიძე
5	სტრატეგიული მენეჯმენტი	MGT1034	I სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული პროფესორი დოქტორი ილიას ჩილოლღუ
6	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	MKT1006	I სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული ასოცირებული პროფესორი დოქტორი კახაბერ ჯაყელი
7	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	MGT1035	III სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული ასოცირებული პროფესორი დოქტორი თეონა მაისურაძე
8	ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მართვა	MGT1029	III სემესტრი	სტრატეგიული მენეჯმენტი	დოქტორი ნინო ჯღამაძე, მოწვეული ლექტორი თეკლა მურვანიძე, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
9	მენეჯერული აღივსება და კონტროლი	FIN1008	II სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული ასოცირებული პროფესორი დოქტორი მეთინ მერჯანი
10	პროექტების მართვის გაძლიერებული კურსი	MGT1028	II სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	მაგისტრი ნინო გორგაძე, PMP
11	ლიდერობის სტრატეგიები	MGT1030	II სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	მაგისტრი თინათინ მურვანიძე
12	ბიზნესის კვლევის მეთოდები	BUS1022	III სემესტრი	რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესისათვის	აფილირებული პროფესორი დოქტორი ნიკოლოზ ფარჯანაძე

საგანმანათლებლო პროგრამა

1 3	სამაგისტრო ნაშრომი	BUS1025	IV სემესტრი	სამაგისტრო ნაშრომზე დარეგისტრირების უფლება აქვს სტუდენტს, თუ მას ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი.	პროგრამაში ჩართული ნებისმიერი აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი;
1 4	ხარისხის სრული მართვა	MGT700 8	II სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	აფილირებული ასოცირებული პროფესორი დოქტორი მურათ ერგუვანი
1 5	სტრატეგიული მარკეტინგი ქეისები და ანალიზი	BUS1021	III სემესტრი	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი ირაკლი ხეთისიაშვილი
1 6	ბრენდინგის მეთოდები და ანალიზი	MKT1012	III სემესტრი	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი დოქტორი კახაბერ ჯაყელი
1 7	ბიზნეს სიმულაციები და ანალიზი	BUS1018	III სემესტრი	სტრატეგიული მენეჯმენტი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი ირაკლი ხეთისიაშვილი
1 8	კონკურენცია და მარეგულირებელი სამართალი	FIN1001	II სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	დოქტორი სოლომონ მენაბდიშვილი
1 9	პრაქტიკა	BUS1024	III სემესტრი	წინა სემესტრებში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	

საგანმანათლებლო პროგრამა

20	პორტფელის ანალიზი და აქტივების შეფასება	FIN1003	II სემესტრი	ფინანსური მენეჯმენტი	აფილირებული პროფესორი დოქტორი ქეთევან ლაფაჩი
21	კორპორაციული მართვა	MGT1003	II სემესტრი	სტრატეგიული მენეჯმენტი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი დოქტორი თეონა მაისურაძე
22	ციფრული მარკეტინგი	MKT1028	III სემესტრი	მარკეტინგული ქეისები და ანალიზი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი კახაბერ ჯაყელი
23	გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემები	MGT1036	II სემესტრი	კურსი არ მოითხოვს შესწავლის წინაპირობას	დოქტორი ნინო ლოლაშვილი